სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის
2013 წლის 4 ივნისის №30 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 20 ნოემბერი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: პაატა ჭავჭანიძე - თავმჯდომარის მოადგილე;

კომისიის წევრი: ანდრო ასლანიშვილი – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრი: ზაზა სეთურიძე – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

კომისიის წევრი: ლევან მეხუზლა – ანალიზისა და სტრატეგიული დეპარტამენტის უფროსი;

სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული სპეციალისტი: რევაზ სიჭინავა - მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი

კომისიის აპარატის წევრები:

პაატა ნარიმანიძე – შესყიდვების კოორდინატორი;
ეკატერინე ნაცვლიშვილი – იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:
სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საოფისე ფართში განთავსებული სამუზეუმო-საექსპოზიციო სივრცის მოწყობის მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციის (პროექტის) შექმნისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის (CPV 71200000) საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო წინადადების პროექტების განხილვა-დამტკიცება.

მოისმინეს:
კომისიის აპარატის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველის რევაზ სიჭინავას მიმდინარე წლის 17 ნოემბრის № 17/11-07 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატს დაევალა შესაბამისი საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო წინადადების პროექტების მომზადება.
კომისიის წევრმა ანდრო ასლანიშვილმა კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაზრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 12 000 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის“ შესაბამისად, შესასყიდი საქონლის ერთგვაროვნების კოდად განისაზღვრა 71221000.

კომისიის აპარატმა კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების პროექტები.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო წინადადები და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაბაზე“ სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის № 3 ბრძანების მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საკონკურსო განცხადება და თანდართული საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად;
2. საკონკურსო კომისიის აპარატმა საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

პაატა ჭავჭანიძე

კომისიის წევრები:

ანდრო ასლანიშვილი

ზაზა სეთურიძე

ლევან მეხუზლა

კომისიის აპარატის წევრები:

პაატა ნარიმანიძე

სხდომის მდივანი - ეკატერინე ნაცვლიშვილი